HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

თამთა თათარაშვილის საჯარო ლექცია

„გენდერი და სექსუალობა ქართულ კინოში“

ადგილი: ქ. გორი, სახ. სასწავლო უნივერსიტეტი, საკონფერენციო დარბაზი (II სართული)
დრო: 22 აპრილი, სამშაბათი, 2 სთ.

ლექციის მიზანია ქართულ კინოში ქალთა რეპრეზენტაციის ანალიზი ფემინისტური პერსპექტივიდან. ერთი კონკრეტული ქართული ფილმის მაგალითზე განვიხილავთ, თუ როგორ იყენებს კინო სექსუალობას, დაშვებებისა და აკრძალვების სისტემას ფემინური და მასკულინური სუბიექტების წარმოებისათვის. ვიმსჯელებთ, თუ რა კონტექსტი განაპირობებდა ქალთა საკულტო სახეების შექმნას და როგორ იწარმოებოდა გენდერული სტერეოტიპები ქართული კინოს ისტორიაში.

თამთა თათარაშვილი – გენდერის კვლევების მაგისტრი, კინომცოდნე. 2010 წელს იყო ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სტიპენდიანტი. მუშაობდა ქართულ კინოში ქალთა და მამაკაცთა რეპრეზენტაციის თემაზე. 2009 წლიდან მუშაობს ქალთა ფონდში „ტასო“ სოფლად მცხოვრებ ქალთა და გოგონათა გაძლიერებისკენ მიმართულ სხვადასხვა პროექტებზე.